

ცნობი ლაზანი

**პაღლიერების ჩანაწერები სტამბოლის
ქართულთა საგანძღვან**

XIX საუკუნეში ქართველ ერს პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ ჰქონია, მაგრამ მან დამოუკიდებელი, თვითმყოფადი კულტურული სახე უდაოდ შეინარჩუნა. აქედან გამომდინარე, ახალი ქართული კულტურა, ისე როგორც ძველი, ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს ასახავდა, შინაარსისა და ფორმის ორიგინალობით ხასიათდებოდა და სხვა დიდ თუ პატარა ერთა შორის შემოკმედებითად ამდიდრებდა საკაცობრიო კულტურის საგანძღვრს (ნარკვევები, 1970 გვ. 824), რის ერთ-ერთ შესანიშნავ მაგალითს სტამბოლში არსებული ქართველთა საგანე წარმოადგენს, რომლის ბიბლიოთეკაში 90-ათასამდე სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი წიგნია დაცული. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს საგანის სტამბაში ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ შედგენილ საერო თუ სასულიერო ხასიათის შრომებს, ბევრ შემთხვევაში მრავალს პოლიტიკური ელფერი დაკრავს და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ვიდრე საგანის შესახებ საუბარს გავაგრძელებდეთ, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო თურქთა მიერ კოსტანტინეპოლის ალემის (1453 წ. 29 მაისი) შემდგომ პერიოდს, როცა მათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დაიპყრეს და შავი ზღვის ჩრდილოეთი ტერიტორია დაიკავეს, ამით ქვეყანა ერთგვარ ვაკუუმში მოაქციეს და ქართველი ხალხის სულიერებას სერიოზული საფრთხე შეუქმნეს. როგორც მოგეხსენებათ, ოსმალეთის გაბატონებამ მესხეთში მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა, რის შედეგადაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მკაცრ ზეწოლას ვედარ გაუძლო და იძულებული გახდა მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასულიყო, ხოლო ძალმომრეობით განაწამები ოსმალეთში გადახვეწილიყო ანუ მუშაჯირად ქცეულიყო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეს სახელმწიფოებრიობაშერყეული და სჯულდანაწევრებული შეხვდა. აქ უკვე მართლმადიდებელ ქართველებთან ერთად მაჰმადიანი და კათოლიკე ქრისტიანები ცხოვრობდნენ და თუ გაკათოლიკებულ ქართველებს თურქი სახელმწიფო მოხელეები აღარ ერჩოდნენ, ეს „მისია“ ახლა რუსეთის ხელისუფლებამ იტვირთა (შ. ლომსაძე, 1996, გვ. 28). ამ მიზნით XIX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო საქართველოდან კათოლიკე მისიონერების განდევნა, ხოლო ქართველ კათოლიკებს ქართულ რიტზე დგომა აუკრძალეს და აიძულებდნენ, სომხურ ენაზე შეესრულებინათ მღვდელმსახურება (იქვე, გვ. 29)... არსებულ რეჟიმს ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან ერთად წინ აღუდგნენ და ხმა აღიმადლეს განმანათლებლებმა მესხეთიდან, რომელთა შორის იყვნენ საეკლესიო მოღვაწეები: დიდი პეტრე ხარისჭირაშვილი, ალფონს ხითარიშვილი, ივანე გვარამიძე, მიხეილ თამარაშვილი, შალვა ვარდიძე და სხვა მრავალნი.

...1855 წელის დეკანოზის თვეს ახალციხეში შექმნილი ვითარების გამო პეტრე ხარისჭირაშვილმა ქუთაისის ვიკარობიდან თავი გაითავისუფლა და ივ. გვარამიძესთან ერთად ახალციხეში დაბრუნდა რწმენით, რომ საქმეს წაღმა მოატრიალებდა და ქართველ კათოლიკეთა აბნეულ მდგომარეობას დააწყობდა, დაამშვიდებდა და ქართულ რიტს აღადგენდა, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე

მიყვანა მის ძალებს აღემატებოდა, ყველგან სომხური რიტის მღვდლები მოკალათებულიყვნენ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1530, გვ. 41).

ამის შემდეგ, ბუნებრივია, მიზნის მისაღწევად გზები საზღვარგარეთ უნდა მოეძებნა, ასეც მოიქცა. 1857 წლის მარტში იგი უკვე სტამბოლშია, სადაც მან შემოიკრიბა ქართველ კათოლიკეთა ინტელიგენცია და, რომის პაპის მიერ თურქეთის სულთანთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, მიიღო ნებართვა მონასტრის მშენებლობისა (შ. ფუტყარაძე, 2005, გვ. 19), რის საფუძველზეც 1861 წელს მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა თავდაუზოგავი შრომით ააშენა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და დააფუძნა მონასტერი. 1870 წლისათვის უკვე მუშაობდა ქართული სტამბა, დედათა და მამათა მონასტერი. ამავე დროს ფუნქციონირებდა ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები; 1908 წელს კი ოფიციალურად გაიხსნა მონასტერთან არსებული აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა (ყვეენი დალეჩიო დ ლესიო, 1921, გვ. 30).

უნდა აღინიშნოს, რომ საგანის კედლებში აღიზარდნენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, სახელოვანი ერისკაცები: ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე, ანდრია წინამძღვრიშვილი, სტეფანე გიორგაძე, იოსებ მერაბიშვილი, ელისაბედ ბეჟანიშვილი, პიო ბალიძე, შიო ბათმანაშვილი, ბენედიქტე ვარდიძე, ალფონს ხითარიშვილი, პეტრე ტატალაშვილი, პავლე აკობაშვილი (ანდგულაძე), აბისინიის (ეთიოპიის) მეფის სასახლის ექიმი - მერაბ ბერაბიშვილი; ერთხანს სტამბოლის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა უმოწყალოდ წამებული მამა - გრიგოლ ფერაძეც, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი, საეკლესიო საბჭოს თავმჯდომარე და გამგებელი - პავლე ზაზაძე, ხოლო დღეს ამ უმნიშვნელოვანეს საგანეს დიდი პავლე ზაზაძის ვაჟიშვილი - საქართველოს საპატიო მოქალაქე, თსუ-ს და თსუ-ს მესხეთის ფილიალის საპატიო დოქტორი სიმონ ზაზაძე განაგებს და გულითადად ელოდება წინაპართა საქმის გამგრძელებლებს საქართველოდან...

ამასთანავე, მონასტრის წინამძღვართა მიზანი იყო ქართველი ხალხის გამოღვიძება - აღორძინება სარწმუნეობრივად, პოლიტიკურად და კულტურულად. ისინი ოცნებობდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე და იმ ათიათასობით „მუჭაჭირი“ ქართველისათვის მშობლიური ენისა და წერა-კითხვის ცოდნის საშუალების გამონახვაზე, რისი დახმარებითაც ისინი არ გადასხვაფერდებოდნენ და არ გადაგვარდებოდნენ. საამისოდ ქართველმა მამებმა ქართულენოვანი სკოლის დაარსებასთან ერთად შალვა ვარდიძის მეშვეობით სწავლების პროგრამაც შეადგინეს და საჭირო სახელმძღვანელოებიც გამოსცეს (იქვე) და დღემდის სრულიად ვერ განახორციელეს თავიანთი დასახული გეგმა, მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ამავე გეგმის გამო ხშირად სასტიკად შევიწროვებულნი იყვნენ ყველასაგან და ყველანაირად და არც ჰქონდათ საკმარისი ნივთიერი საშუალება, რომ თავიანთი მოქმედებისათვის უფრო ფართო ხასიათი მიეცათ. ამასთან ერთად, ამ საზოგადოების ყველა წევრს არ შეეძლო საქართველოში შესვლა რუსეთის ხელისუფლების წესების გამო (იქვე).

ქართველ მამათა დასახელებული საზოგადოება დასაბამიდან დღემდის თავისი არსებობით უცხოეთში ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანის მამები მოკლებული იყვნენ საქართველოს ხალხის კულტურულ ცხოვრებას, ეს საგანე აქ, უცხოეთში მაინც ეროვნულ კერად გარდაქმნეს, სადაც არა მარტო

მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ შეათარა თავი, არამედ არაერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემაც - განურჩევლად სარწმუნეობისა და მისწრაფებისა. ამჟვე საზოგადოების წყალობით იტალიისა და საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის, შოლანდიისა და შვეიცარიის, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მთავრობები სისტემატურად ეცნობოდნენ საქართველოსა და ქართველების ისტორიას, თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას (გ. შარაძე, 1991, გვ. 3).

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი საზოგადო მოღვაწე - ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „კონსტანტინეპოლში ქართველთა მონასტერი მარტოთ სასულიერო დაწესებულებად არ ითვლებოდა. იგი ერთის მხრივ თავშესაფარ სახლათაც იყო საქართველოთგან მოგზაურთ ქართველთ ღარიბთა და გაჭირვებულთათვის. აქ ესენი ქართული გვარის კაცს ყოველნაირს დახმარებას აძლევდნენ და პატრონობდნენ. ამათ ბევრს გაჭირვებულს ქართველთათვის მიუციათ დახმარება, ბევრი შიმშილისაგან დაუხსნიათ, ბევრის სწეულ მოგზაურთათვის მიუციათ სადგომი, ულუფა, სამგზავრო ფული და თავის სამშობლოში გამოუსტუმრებიათ. ამ პირთა კაცთმოყვარეობით გატაცებული იყო ერთი ჩვენი თანამეგობარი, რომელიც ამათთან სცხოვრობდა კარგა ხანს და რუსულ-ქართულ-ფრანგულს ლექსიკონის შედგენაზე მუშაობდა. მაცხოვრის სიტყვას და ქრისტიანობას ესენი მტკიცეთ ასრულებდნენ. მოყვასთა სიყვარული და მფარველობა ამათ გულში მოზღვავებული იყო, ნამეტურ ქართველ გვარისადმი. ამის მხრით ესენი პატივის ღირსნი არიან მთელის ქართველობისაგან“ (ზ. ჭიჭინაძე, 1895).

1921 წლის თებერვალ-მარტის სამხედრო ოკუპაციის შემდეგ საქართველოს ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა საზღვარგარეთ გახიზნულიყო იმ იმედით, რომ იქიდან გაეგრძელებინათ ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. მაშინ მას თან გაჰყვა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა, მეცნიერთა და მწერალთა მთელი პლეადა. როგორც პროფ. გურამ შარაძე აღნიშნავდა: ეს ტრაგიკული წელი საოცრად გვაგონებს 1724 წელს, როცა ბეტრე პირველთან დახმარების სათხოვნელად წასულ მეფე ვახტანგ VI-ს ამაღალში გაჰყვა თითქმის მთელი ქართველი ინტელექტუალური ელიტა (გ. შარაძე, 1991, გვ. 3). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოვუხმობთ პროფ. შ. ფუტყარაძის „სტამბოლური დღიურებიდან“ ერთ-ერთ ამონარიდს: საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ეროვნული მთავრობა და პრეზიდენტი ნოე ჟორდანიას, ვიდრე საფრანგეთში ჩავიდოდნენ, სამი თვის განმავლობაში ქართველ მამათა საეანეში ცხოვრობდნენ, სწორედ იქ, სავანის კედლებში გამოთქვამდა ექსპრეზიდენტი მწარე სინანულს: „ეს რომ მცოდნოდა, თუ სამშობლოსათვის როგორი თავდადებული, მიზანმიმართული და დიდი მოღვაწეები იყვნენ სტამბოლის ქართველ მამათა მონასტრის ბინადარნი, სწორედ მათი თხოვნა უნდა შემესრულებინა და დახმარების ხელი გამეწოდებინა იმ მოთხოვნაზე, რომლებსაც ესენი მიგზავნიდნენ, მაშინ თავს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ ჩავიდებდი“ (შ. ფუტყარაძე, 2005, გვ. 19).

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ნაკლებად მტკივნეული როდი აღმოჩნდა 1924 წლის აგვისტოს თვის ამბოხების შემდეგ დატრიალებული ტრაგედია, რომლის გამოც სამშობლოდან 1921 წელს გასულ პოლიტიკურ ემიგრანტებს შეუერთდა ახალი ტალღა ქართველი საზოგადოებისა და ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მათ ტყვედ მოხვედრილი ქართველთა დიდი ნაწილი დაემატა. ამდენად, ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა მიზეზით საზღვარგარეთ

სამშობლოდან ლტოლვილი ქართველი უცხოეთის ცის ქვეშ ჰპოვებს სამუდამო თავშესაფარს. აღნიშნულის შესახებ მხატვრულად და მტკივნეულად აშობდა პროფ. გურამ შარაძე: „მათი ძვლებიც კი ფიქრობენ საქართველოზე“ (გ. შარაძე, 1991, გვ. 5). როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა მიზეზის გამო უცხოეთის ცის ქვეშ მყოფ ქართველთა უმრავლესობამ სწორედ სტამბოლის მამათა სავანეს შეაფარა თავი. სამშობლოდან განშორების პირველ მტკივნეულ განცდებს, უიმედობას და სიღატაკეს მათი საშუალებით დაადეს საღბუნნი და ამით სავანის საამაყო მამებმაც ბრწყინვალედ მოიხადეს ვალი უიმედოდ დარჩენილი თანამემამულეებისა და სამშობლოს წინააღმდეგ. უნდა ითქვას ისიც, რომ არც სავანის წმინდა მამათა მიერ გაწეული მადლი დარჩენილა უპასუხოდ. მართლაც, დღემდე არ შეწყვეტილა წარსულით გამოწვეული მადლიერების ხმები სტამბოლის ქართველ მამათა სავანიდან და სიამაყით გვეხმიანებიან ჩვენ - მათ შთამომავლებს, რომელთა შორის შემოგთავაზებთ საქართველოს ისტორიის პატრიარქის, დიდი ივანე ჯავახიშვილის ჩანაწერს, რომელიც სულ სამ სტრიქონშია მოქცეული:

„გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართულ მონასტერში, საქართველოს და ქართული ერისადმი უანგარო, ღრმა სიყვარულსა ვგრძნობ“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №5605, გვ. 24).

სტამბოლი, 1919 წ. 16 II.

ქართველ მამათა თავდადებულ და საშაგალითო ცხოვრების სანიმუშო სურათს ქმნის „მესამე დასელი“ ვლასა მგელაძის მონასტერში დარჩენილი ჩანაწერი:

„კიდევ ვიხილე სიამოვნებით შორეულ უცხოეთში საქართველოს პატარა კუნძული, მის ერთგულ შვილთა წრფელის გრძობებით გაბრწყინებული. გული უსაზღვრო იმედს გრძობს - რომ არავითარი უკეთურობა, უხეში ძალა აღარ მოსპობს აქ რაც უკვე ბუდობს“.

მეტად ამაღლვებელ სტრიქონებს ტოვებს ქართველ მამათა სავანეში თავადი მიხეილ ფალავა:

„ამა ათასცხრაას ცხრამეტსა წელსა, დღესა ოცდარვას მაისს გავხდი ბედნიერი და ვინახულე ქართული მონასტერი კონსტანტინეპოლისა, სადაც მოვიარე, სადაც მოვიპოვე სულის სიმშვიდე და დავტკბი აქაური სანახაობით და მიღებით აქაური ჩვენი ღვიძლი ძმების მიერ, ვბრუნდები საქართველოში იმ ნეტარ გრძობით, რომ გადავცე მათ მოძმე მონათესავეთ მათი ეგეთი სიყვარული სამშობლოსადმი, გარჯილობა ჩვენი წმინდა სარწმუნეობა-ზნე ჩვეულება-აღათის პატრონობა-შენახვაში და თავის პატარა ერის თავისუფლება და კეთილდღეობის მსახურებაში. დიდს მადლობას გიძღვნი ძმებო - ვვედრი უფალს თქვენს მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.“

თქვენი თავყვანისმცემელი მოყვარული თავადი - მიხეილ ფალავა“.

28 მაისი 1919 წ. ქ. სტამბოლი.

საინტერესო ისტორიულ ფაქტთან გვაქვს საქმე, როცა საქართველოს სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილის - გრიგოლ რცხილაძისა და დელეგაციის წევრების: გრიგოლ რობაქიძის, ილია ოდიშელიძის, ანდრია დეკანოზიშვილის, აქესენტი გვათუას, იოსებ გობეჩიას და ილია ნაკაშიძის ჩანაწერებს ვეცნობით:

„1919 წელს 16 მარტს ვნახეთ ქართველთა მონასტერი და აღტაცებული დავრჩით იმ მზრუნველი სიყვარულის გრძობით, რომელიც გამოსჭვივის

მონასტრის კუთვნილ ყოველ წვრილმანში. მათი ნათელი სახეები კეთილი მომავლის იმედს გვმატებს“.

ქალაქ კონსტანტინეპოლში მყოფი, ქართველ მამათა თავდადებით აღფრთოვანებული გიორგი მაჩაბელი 1919 წლის 23 აპრილს მონასტერში ტოვებს შემდეგი შინაარსის ჩანაწერს:

“თქვენი თავდადებული და დაუღალავი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინებაში უკვდავი იქნება ჩვენს ისტორიაში. ჭირში და ლხინში თქვენთან ერთად“.

სავანის სტუმრებს შორის პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს საზღვარგარეთ დარჩენილი მეომრებიც მრავლად გვხვდებოდნენ. აი, რას წერს ქართველი ცხენოსანი რაზმის III ათეულის უფროსი, შტაბს როტმისტრი ილიკო დოლიძე:

“1918 წელში ტანჯული და წამებული ოსმალეთის ტყვეობაში მოვხვდით მშვენიერ საქართველოს პატარა ყურეს კონსტანტინეპოლში. მაშინ ამოვისუნთქეთ თავისუფლად და ვადიდეთ ჯერ უფალი და მერმეთ ჩვენი სამშობლო. ქართული მონასტრის წმინდა მამებმა დაგვიმტკიცეს, რა შეუძლია მორწმუნე და კაცთმოყვარულ ქართულ გულს: იყავ დიდებული ივერიის წარმომადგენლო ქართული ეკლესია, აყვავდი ქართული ერის დიდებით!..“

დაახლოებით იმავე აზრს იმეორებენ მონასტრის წინამძღვრის - პიო ბალიძის, მამების და ბერების მიმართ იტალიის მისიის წევრი სამხედრო საკითხებში - პოლკოვნიკი გიორგი კონსტანტინეს ძე ბაქრაძე და ქართული კავალერიის პოლკის ოფიცერი, პორუჩიკი ირაკლი თუხარელი.

სტამბოლის მამათა სავანეში პოლიტიკური მიზეზებით ლტოლვილ ქართველებთან ერთად ხშირად სავაქრო მიზნებით წასულებიც პოულობდნენ თავშესაფარს. სწორედ ამ მიზნით იმყოფებოდა სტამბოლში 1919 წლის ნოემბერში ვაქართა ჯგუფი ქუთაისის გუბერნიიდან, რომელთა მიერ შედგენილ მადლიერების ბარათს ხელს აწერენ: დანიელ შავდია, ვანო წყალობის ძე ირალოვი, იასონ კერესელიძე, გაბრიელ დარჩია, ათანასე რეზვიაშვილი, გრიგოლ ჩაგელიშვილი. როგორც ჩანს, მოვაქრეთა ძირითადი ნაწილი ონის რაიონიდან იყო.

საქართველოს უღირს შვილებად მოიხსენიებს ნიკოლოზ ჯაყელი მათ, ვინც აიძულა საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილიყო:

„საქართველოს უღირსი შვილების მიერ დევნილი სამშობლოსათვის თავდადებული ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე ჯაყელი გულითადად მადლობას ვუძღვნი ქართველ მონასტრის შემადგენლობას უზვი დახმარებისათვის და ძმური ნუგეშისათვის. ჩემს გულში ამოურეცხელი იქნება მათი სიყვარული და პატივისცემა“.

ნიკოლოზ ჯაყელი.

19 აპრილი, 1922 წ. ქ. სტამბოლი.

სტამბოლის ქართველ მამათა სავანის დამსახურებასა და ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იქ გამართულ ყველა ღონისძიებაზე სტამბოლის მერიის, საკონსულოებისა და ინტელიგენციის მაღალი დონის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. ამის ტიპური მაგალითია 1922 წლის 14 იანვარს ჩატარებული წმინდა ნინოების დღესასწაული.

„თერთმეტის ნახევარზე ქართული წესის წირვა დაიწყო. მღვდელნი დიფნობდნენ - მამა შიო ბათმანაშვილი და მამა ბენედიქტე ვარდიძე. ხორო

გალობდა ზ. ფალიაშვილის წირვას. მგალობელნი იყვნენ: ი. ქარსელაძე და კოლია ნიჟარაძე, ვ. ელენტი და ა. კობახიძე, ფრანჩისკე ბეგიშვილი, კ. ჯაყელი და შალვა ვარდიძე. ორღანს უკრავდნენ - მ. ი. ფილიბუჩი და ს. ე. ბელა. წინამძღვრობდა მ. პ. ტატალაშვილი. ხალხი ბლომად დაესწრო. მთავრობის წარმომადგენელი, კონსული, ყოფილი მინისტრები - ხომერიკი და არსენიძე, მრავალი ღენერლები და ლტოლვილები - ქალი თუ კაცი, ქადაგება იყო წირვის შემდეგ, მონასტრის წინამძღვარმა - პეტრე ტატალაშვილმა დარბაზში მიიღო ყველანი, სიტყვა უთხრა მთავრობის წარმომადგენელს, რომელმაც ილაპარაკა. შემდეგ კონსულმა ისაუბრა ქართველ ქალების მოღვაწეობაზე და ვალიკო ჯაყელმა მგრძნობიარე სიტყვა სთქვა ამ საკითხზე.

ერთი-მეორეს განმეორებით მიულოცეს დღესასწაული, მიიღეს მონაწილეობა საზეიმო ბურობაზე, სადაც მგალობლებთან ერთად მისი ყველა მცხოვრებნი მონაწილეობდნენ. დიდებულად ჩატარდა მთელი დღესასწაული“.

14 იანვარი, 1922 წ. სტამბოლი.

მინდა ყოველგვარი კომენტარის გარეშე შემოვთავაზოთ ლონდონიდან კონსტანტინეპოლით სამშობლოში მომავალი დავით ლუკაშვილის მადლიერების ბარათი:

„ის ერი, რომლის შვილების ენერგიით და უნარით შექმნილა ეს დიდებული საგანე, არ მოისპობა. ამ მონასტრის ნახვამ და მასში მოღვაწე სულიერ მამათა თანა ჩვენი ერის დღევანდელ უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაზე ბაასმა ამაში სრულებით დამარწმუნა. ეს ქართველებიც თავის ძმებთან ერთად, რომლებიც თავის ერისა და სამშობლოსათვის სისხლსა ღვრიან, საქართველოს მიდამოებზე ფიქრობენ და იღწვიან თავის ერზედვე. ეკლესიაში ყველა ქართველი, რა რწმენისა და აზრისააც უნდა იყოს, რომელიც წაიკითხავს წარწერას „მარიამი ქართველთა მხსნელი“, უკვე თავს თავის ოჯახში გრძნობს და აქ მოღვაწე პირებთან ერთად იმსჯელება იმ იმედით, რომ ქართველთა ერს ჰყავს უზენაესი მფარველი, რომელიც დაეხმარება მას დღევანდელ გასაცდელისაგან გამოვიდეს ვამარჯვებული. ამ შორ უცხოეთში გადმოზვეწილი ბერებით, როცა მხოლოდ და მარტო სამშობლოზე ფიქრობენ და როცა ყველა მათგანი ყოველდღე, რაც საქართველოს ჩრდილოეთიდან გასისხლიანებული მუშტი დაემუქრა, განსაკუთრებით ლოცულობდნენ მის გადარჩენაზე, საქართველოში თავის ძმებთან ერთად არიან. მივდივარ ხვალ ბრძოლისაგან სისხლით დაცლილ საქართველოში, როცა ჩემი მოვალეობა უნდა მოვიხადო დედა სამშობლოს წინაშე. ჩავალ და თქვენს ამბავს ჩავიტან, გადავცემ იმას, რაც ჩემის თვალთ ვნახე და ყურით მოვისმინე და გავამხნევე მათ ამით.“

მხოლოდ ასეთი ერთსულოვნება, რომელიც გაჭირვების დროს გაჩნდება ხოლმე ქართველებში, იყო მიზეზი ჩვენი ერის მრავალ საუკუნოებათა განმავლობაში არსებობისა და იგივე ერთსულოვნება არის წინდი იმისი, რომ ეხლაც გადავრჩებით. ჩვენი ერის დედის ძუძუ-მკერდი - თბილისი მტერმა დაიჭირა, ჩვენი მხედრობა კვლავ მტერთან საბრძოლველად სურამის ხეობაში იკრებს ღონესა. მტერი კი მას ზურგიდან უვლის, შავი ზღვის სანაპიროებიდანაც. ეს ყველაფერი სასოებას გვართმევს, მაგრამ როცა ყველა ქართველის საფიქრებელი - ბერია ის, მღვდელი თუ ერის კაცი, ის არის, თუ როგორ დაეხმაროს თავის სამშობლოს და რანაირად დაიცვას თავისი ერი მოსულ მტრისაგან, იმედს ჯვიღვივებს, რომ ჩვენი ერი გადარჩება ამ უკანასკნელ განსაცდელსაც. ამ

იმედით გემშვიდობებით მე ძვირფასო თანამემამულენო. და ღმერთსა ვთხოვ, თუ მომიხვდეს აქ კიდევ მოსვლა, მხოლოდ გამარჯვებული საქართველოდან მომიხვდეს და მაშინ ვიბაასოთ იმაზე, თუ ჩვენმა მამაცმა ერმა როგორ იხსნა თავის სამშობლო დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდანაც“.

ნიკოლოზ საბაშვილი 1881 წელს გავლით მოხვდა კონსტანტინეპოლში, ეწვია ქართველ მამათა სავანეს და დაწვრილებით აღწერა მათი საქმიანობა, ხოლო როცა 1922 წელს სამშობლოში ბრუნდებოდა, საჭიროების გამო, კვლავ სავანეს მიაკითხა და ოჯახთან ერთად რამდენიმე ხანს სავანის სასტუმროში ცხოვრობდა. განვლილ პერიოდში ქართველთა მონასტერს იმდენი რამ შეუცვლია მამათა თავდადებული შრომით, რომ ნ. საბაშვილი განცვიფრებული წერს:

1881 წელს გავლით კონსტანტინეპოლში ვეწვიე ამა ქართველთა მონასტერს. იმ დროს მონასტრის წინამძღოლი იყო პატრი პეტრე ზარისჭირაშვილი, რომლის დაარსების ინიციატორიც იყო განსვენებული და იმან ჩააუყარა პირველი საფუძველი ამა მონასტერს. იმ დროს იყო პატარა სახლი ღვდლების საცხოვრებლად, ქალების მონასტერი და პატარა ეკლესია და ახლა, ჩემ აქ ჩამოსვლამდე სხვა გადმოხვეწილებთან ერთად სულ სხვა რამ ვნახე. რამდენი ნაყოფი გამოუღია აქაურ მოძღვართა მედგარ და დაუზარელ შრომას. რაიც არსაიდან არ ჰქონდათ არავითარი დახმარება, აუგიათ ოთხსართულიანი, დიდი შენობა მღვდლების საცხოვრებლათ თუ სხვა საჭირო დაწესებულებებისათვის, შეუძენიათ ბევრი მიწები მომავალში მონასტრის გასაძლიერებლად, გაღებულია ქალებისა თუ ვაჟების სასწავლებლები. იზრდებიან სამღვდლოებად, არსებობს ბიბლიოთეკა და ყოველნაირი სასულიერო თუ სახორციელო კულტურული დაწესებულებები, რაც დიდ იმედს იძლევა მომავალში საქართველოსათვის.

მასთანავე არ შეიძლება არ გააშუქო ის გულკეთილობა, კაცთმოყვარეობა და სამშობლოს სიყვარული, რაიც არსებობს მათში და გამოაჩინეს ამ დროებითი მიყენებული საქართველოზე უბედურების დროს ყველა მოძმე ქართველზე განურჩევლათ მიმართულებისა და სარწმუნეობისა, რათა რომ რამოდენიმეთ შეემსუბუქებინათ მათთვის ცხოვრება. მიცემული ქონდათ უფასო ბინები, მასთანავე, თავიანთი შეძლებისდაგვარად აღმოჩენილი იყო ყველანაირი ხელშეწყობა და დახმარება. კერძოდ, ჩემზე არ შეიძლია გამოსთქვა ის თანაგრძნობა და დახმარება, რაიც გვქონდა ჩვენ მათგან.

მე არ ვფიქრობ გამოვიდეს იმისთანა ქართველი, რომელსაც დაავიწყდეს ყველა ეს და არ დააფასოს ამითი შრომა და ის თანაგრძნობა, რაიც იყო მიმართული ჩვენზე ამ მონასტრისაგან და როცა დავბრუნდებით სამშობლოში, განივრად უნდა გავაცნოთ ჩვენ მოძმეებს ამათი შრომის ნამატი და როდესაც მოგვეცემა საშუალება, უნდა ვილონოთ აღმოჩენა ყველანაირი დახმარებისა, რათა ამ მონასტერს შეუძლია ითამაშოს საქართველოსათვის დიდი როლი. გემშვიდობებით მოძღვარნო, მივდივარ საქართველოში. შეიძლება მეტი ვეღარც გნახოთ. ვევედრები ღმერთს, ჩემი მოხუცი პირით გყოთ დღეგრძელი, მოგცეთ ძალა და მხნეობა თქვენი და თქვენს მომავალ თაობას, რათა განაგრძოთ ნაყოფიერი შრომა, რაიც დიდად სწყურია საქართველოს. გწირავთ დიდ მადლობას თქვენ ამნაირი საზოგადო მოღვაწეობისათვის და კერძოდ მეც და ჩემი ოჯახიც იმ თანადგომისათვის და ყოველნაირი დახმარებისათვის, რაიც გვქონდა ჩვენ თქვენგან, მათგანვე ვუძღვნი მადლობას ქალწულთა მონასტერს იმ ყურადღებისათვის, რაიც იყო მოქცეული ჩემს ოჯახობაზე მათგან.

ნიკოლოზ საბაშვილი.

19 აპრილი, 1922 წ. ს. სტამბოლი.

ამერიკაში არსებულ ქართველთა სათვისტომო, სტამბოლის ქართველ მამათა საგანესთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. 1942 წლის 24 სექტემბერს საგანეს ეწვია ამ სათვისტომოს თავმჯდომარე გივი ზალდასტანიშვილი და შემდეგი ჩანაწერი დატოვა:

„რამდენად სასიამოვნოა ამ მუზალმანურ ქვეყანაში ერთი მშვენიერი მონასტერი და ეკლესია რომ ვნახე. მისი მონაწილეობა და მუშაობა ქართულ საქმეში უდიდესია, ღმერთმა ქნას, რომ ეს მუშაობა სამუდამოდ გაგრძელდეს“.

ეს ის ზალდასტანიშვილია, რომელსაც ნიუ-იორკის ქალაქის თავმა - რობერტ ვაგნერმა ქართველთა სათვისტომოს მორიგი სხდომის დრომ მიმართა:

„ბედნიერი ვარ გიძღვნათ ჩემი საღამო და აღვნიშნოთ თქვენი რაინდული ცდა, შეინარჩუნოთ თქვენი ერის ძველთაძველი ტრადიციები. ცოტანი არიან ქვეყნები, რომ თქვენსავით ოცდასამი საუკუნის კულტურა და ცივილიზაცია ჰქონდეს. ეს არის განძი, რომლითაც თქვენ, ძველ ერს უფლება გაქვთ იამაყოთ“.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში სტამბოლში იმყოფებოდა ქალაქ ფოთის მოურავი ა. კობახიძე. იგი გულწრფელად აღნიშნავს:

„ის პატივისცემა და თანაგრძნობა, რომელიც მე ვიპოვე ქართველ კათოლიკეთა მონასტერში სამშობლოდან გადახვეწილი ომის დროს, მარად დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ვუსურვებ ამ ქართული კულტურისა და ტრადიციის საგანეს, მომავალშიც ყოფილიყოს ისეთი ძლიერი გამომხატველი ქართველი ერის სულისკვთების და მისწრაფების, როგორც ეს არის დღეს“.

მონასტრის ჩანაწერების საშუალებით ვგებულობთ, რომ 1912 წლის ენკენისთვის აქ სტუმრად მისულა ქუთაისის გუბერნიის დეპუტატი სახელმწიფო სათათბიროში - ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი და პროფ. ალექსანდრე ცაგარელი.

1919 წლის 7 ოქტომბერს მონასტერში იმყოფებოდა იტალიის მისიის წევრი სამხედრო საკითხებში - პოლკოვნიკი გიორგი კონსტანტინეს ძე გელევანიშვილი.

ქართველ მამათა მონასტრის კედლებში სხვადასხვა პროფესიისა და მიმართულების ქართველებთან ერთად ბევრ სწავლამოწყურებულ ახალგაზრდა სტუდენტს მოუძებნია თავშესაფარი.

სამი ქართველი სტუდენტი, შემოხიზნული ქართველთა მონასტერში, უძღვნის დიდ მადლობას პატივისცემასა და ნუგეშისათვის, რომელიც გაუწია ამ მონასტრის წინამძღვარმა თავის ძმათა - ბერების საშუალებით. ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება მათი სახეები, შევეცდებით მათგან მიღებულ დახმარებას ჩვენი ქვეყნის ერთგულებით ვუბასუნოთ: მიხეილ ტატიშვილი, ირაკლი ხატიაშვილი, ვასო ძინძიბაძე.

გულთოდ მადლობას გამოხატავდა მონასტრის წინამძღვრისა და ბერმონაზონთა მიმართ 1920 წლის 6 იანვრიდან 9 იანვრამდე მონასტერს თავშეფარებული და იქ დაპურებული ქართველ სტუდენტთა ჯგუფი, რომლის წევრებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში: იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ბელგიაში და საფრანგეთში მიემგზავრებოდნენ. ამ ჯგუფს ფილოლოგიის დოქტორი, პროფ. ნ. გამსახურდია ხელმძღვანელობდა, ხოლო ჯგუფის წევრები იყვნენ: ვალიკო ახვლედიანი, ვლადიმერ თაქთაქიშვილი, ალექსანდრე ნიკურაძე, ნიკოლოზ იმნაიშვილი, ირაკლი ურუშაძე, ნიკო ქადაგიძე.

დასახელებული ჯგუფის წევრებზე ერთი დღით ადრე მონასტრის კედლები მადლიერებით დაუტოვებია სტუდენტთა ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: გაბრიელ ქიქოძე, ზაალ ელიავა, გ. მგელაძე, მირიან წულუკიძე, გიორგი ნანვიშვილი, ლიდა პაპასკირი, ფატი ხუნდაძის ქალი, ქსენია ლეჟავა-ჩხენკელისა, ალექსანდრე ჯანელიძე, ლ. ნიჟარაძე, ნ. გაბელია (ერთ-ერთი გვარის ამოკითხვა ვერ მოხერხდა).

ჩანაწერების გაგრძელება შეიძლებოდა, მაგრამ წინამდებარე წყარო-მასალა სრულად გვაძლევს საშუალებას გავეცნოთ, გავითავისოთ დროის სიმწვავეთ გამოწვეული გადაწყვეტილება-ჩანაფიქრი მ. პეტრე ხარისჭირაშვილისა და მისი ძმობისა, რომელიც დიდი წინააღმდეგობისა, შრომისა, ჭაპანწყვეტისა და სიცოცხლის რისკის ფასად შექმნეს ქართველმა მამებმა შორეულ სტამბოლში.

დასასრულს მინდა წარმოგიდგინოთ ევგენი დალეჯიოს სიტყვები: „შევნიშნავთ, რომ ფერიკვევის სავანე არ არის მარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ ამასთან ერთად პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნეობა და პოლიტიკა ერთი-მეორეს არ ეწინააღმდეგებიან და ერთიმეორესთან შეკავშირებული არიან. ამ სავანის ქართველ-კათოლიკე მღვდლები უკანასკნელ საშინაო ომის დასაწყისიდან დღემდის არ დაერიდნენ თავიანთი საზოგადოების არსებობის განსაცდელში ჩაგდებას და გამსჭვალულნი დიდებულ მომავლის რწმენით საქართველოს თავისუფლებისათვის პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ამით სასყიდელი მხოლოდ ის იქნება, რომ თავისუფალმა საქართველომ და ქართველმა მოღვაწეებმა მისცეს მათ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ უფრო მეტი ზნეობრივი დახმარება და ყოველგვარი საშუალება, რათა უფრო ფართე ფარგლებში შესძლონ მათ მოღვაწეობა საქართველოში და ქართველ ხალხში“ (ევგენი დალეჯიო დ ლესიო, 1921, გვ. 5).

ამის შემდეგ მხოლოდ ისლა დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საზოგადოებამ და მათ შორის მეცნიერებმა, განსაკუთრებული დახმარება და თანადგომა გამოუუცხადოთ სტამბოლის ქართველ მამათა სავანის მეურვეს, საქართველოს საპატიო მოქალაქეს, ბატონ სიმონ ზაზაძეს და მის ვაჟიშვილს - პავლეს (პოლს) იმ თვალსაზრისით, რომ ქართველ მამათა გარეშე დარჩენილი სავანის ეკლესიისა და მონასტრისათვის შეიჩინეს და გაიგზავნოს ღირსეული მღვდელთმსახურები.

ამასთანავე, სასურველი იქნება კვლავ დაფინანსდეს და გაძლიერდეს მეცნიერ - სპეციალისტთა ჯგუფი (ხელმძღვანელი პროფ. შუშანა ფუტკარაძე), რომელთა საშუალებით მოხერხდება იქ დაუნჯებული კულტურული მემკვიდრეობის დროულად შესწავლა და აღწერა. ეს კი საბოლოოდ ხელს შეუწყობს ორი მეზობელი ქვეყნის - თურქეთისა და საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ამით კიდევ უფრო გაცხოველდება ხმები სტამბოლის ქართველთა სავანიდან და შეივსება მრავალი ცარიელი ფურცელი საქართველოს ისტორიისა.*

* სტატიის ავტორი უღრმეს მადლობას მოახსენებს ბატონ სიმონ ზაზაძეს და პროფ. შ. ფუტკარაძეს სტამბოლის ქართველთა სავანეში დაუნჯებული საგანძურის გაცნობისათვის.

ლიტერატურა

- ევგენი დალეჯიო დ ლესიო, 1921 - ევგენი დალეჯიო დ ლესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, სტამბოლი, 1921.
- შ. ლომსაძე, 1996 - შ. ლომსაძე, მესხები, თბ., 1996.
- ნარკვევები, 1970 - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970.
- ს.ჯ.ი.მ.ზ.ფ - სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი.
- შ. ფუტყარაძე, 2005 - შ. ფუტყარაძე, დღიურები სტამბოლიდან, 2005.
- გ. შარაძე, 1991 - გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1991.
- ზ. ჭიჭინაძე, 1895 - ზ. ჭიჭინაძე, აბატი ხარისჭირაშვილი, ტფ., 1895.

TSIURI LAPACHI**RECORDS OF GRATITUDE FROM THE ISTANBUL
GEORGIAN CLOISTER**

The paper discusses some details of the activities carried out by Georgian Fathers that features facts of the Ferikvei cloister not only as a religions institution but also as an instrument for the awakening and rehabilitating of Georgian nation in its religion, politics, and culture. The Georgian Fathers have paid invaluable tribute to their Motherland with these a foresaid deeds done with zeal and diligence. More than a century period they sheltered immigrated politicians; scientists, intelligentsia, and young people wandering in search of their fate. The immigrants, on their part expressed their gratitude in the written form, part of which has become known and discussed in the present article.

As for the future prospects of the Istanbul Georgian Cloister we can be hopeful owing to the loyalty to the ancestors' traditions kept sacred by the direct heirs, Simon and Paul Zazadze(s), and of the devoted efforts of Prof. Shushana Putkaradze in her studies of Monastery archives.